


# აფგან მუხთარლის საქმე ფაქტები და შეფასება




თბილისის  
ადამიანის  
უფლებათა  
სახლი

თბილისი, მაისი  
2018



# თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის შესახებ

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი (HRH-თბილისი) არის წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ადამიანის უფლებების საკითხებზე მომუშავე ხუთ ქართულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას. სახლი დაფუძნდა თბილისში „ადამიანის უფლებათა სახლების ფონდის“ მხარდაჭერით და 2010 წლის ივლისში დარეგისტრირდა როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია. HRH-თბილისი იმავე წელს ადამიანის უფლებათა სახლების ქსელის წევრი გახდა. „ადამიანის უფლებათა სახლების ფონდი“ იცავს, აძლიერებს და მხარს უჭერს უფლებადამცველებს და მათ ორგანიზაციებს. ამჟამად დამოუკიდებელი უფლებადამცველი ორგანიზაციები ერთობლივად ახორციელებენ საქმიანობას 11 ქვეყანაში მოქმედ 16 ადამიანის უფლებათა სახლში. HRH-თბილისი შედგება შემდეგი წევრი ორგანიზაციებისგან: „ადამიანის უფლებათა ცენტრი“, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, „ნამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი“, კავშირი „საფარი“ და „მედიის ინსტიტუტი“. ადამიანის უფლებათა სახლის კონცეფციიდან გამომდინარე, თანამშრომლობის და ერთობლივი საქმიანობის გაძლიერებით, ადამიანის უფლებების უკეთ დაცვის ადვოკატირების მიზნით, HRH-თბილისის ყველა წევრი ორგანიზაცია განთავსებულია ერთ სივრცეში და მუშაობს შემდეგ მიმართულებებზე: იურიდიული და ფსიქოლოგიური დახმარება, კანონმდებლობის გაუმჯობესება, ადვოკატირება, ადამიანის უფლებების შესახებ განათლება და რისკის ქვეშ მყოფი უფლებადამცველების, აქტივისტების და ჟურნალისტების დაცვა. დაცვის პროგრამის ფარგლებში HRH-თბილისი ეხმარება აზერბაიჯანიდან დევნილ უფლებადამცველებს, აქტივისტებს და ჟურნალისტებს, რომლებიც თავს აფარებენ საქართველოს.



## საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: აკაკი გაბოკიძის 11ა  
0179, თბილისი, საქართველო  
ტელეფონი: +995 32 2 38 20 18  
ელექტრონული ფოსტა: [Tbilisi@humanrightshouse.org](mailto:Tbilisi@humanrightshouse.org)  
ვებგვერდი: <http://humanrightshouse.org/Members/Georgia/index.html>

გამოცემაზე პასუხისმგებელი პირები:

ნათია კაციტაძე – თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის გამგეობის თავმჯდომარე  
ნათია თავბერიძე – თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის კოორდინატორი

## დათქმა

დოკუმენტი მოამზადა თბილისის ადამიანის უფლებათა სახლმა მის წევრ ორგანიზაციებთან - კონსტიტუციის 42-ე მუხლი და ადამიანის უფლებათა ცენტრი -პარტნიორობით, ადამიანის უფლებათა სახლების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნის თბილისის ადამიანის უფლებათა სახლს და შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

## შენახვა

წარმოდგენილი დოკუმენტი შეიცავს აფგან მუხთარლის საქმესთან დაკავშირებულ ფაქტებს და შეფასებებს. აზერბაიჯანელი ჟურნალისტი და აქტივისტი აფგან მუხთარლი, რომელიც აზერბაიჯანიდან დევნილობის გამო ცხოვრობდა საქართველოში, 2017 წლის 29 მაისს საქართველოში სავარაუდოდ გაიტაცეს და ძალის გამოყენებით გადაიყვანეს აზერბაიჯანში, სადაც ის ციხეში აღმოჩნდა. 2018 წლის 12 იანვარს, აზერბაიჯანში, ბელაქანის რაიონულმა სასამართლომ აფგან მუხთარლის 6 წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. მას ბრალად ედება პოლიციელებისთვის წინააღმდეგობის განევა, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის უკანონო გადაკვეთა და საზღვარზე 10 000 ევროს კონტრაბანდულად გადატანა.<sup>1</sup> 2018 წლის 24 აპრილს, აზერბაიჯანის შაქის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და აფგან მუხთარლი პატიმრობაში დატოვა. დაცვის მხარის განცხადებით, მუხთარლის წინააღმდეგ ბრალი გაყალბებულია; ამას გარდა, სასამართლო პროცესები ტარდებოდა სამართლიანი სასამართლოს პრინციპების დარღვევით, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების უგულვებელყოფით.

2017 წელს აზერბაიჯანელი ჟურნალისტებისა და აქტივისტების დევნის ახალმა ინტენსიურმა ტალღამ მოიცვა აზერბაიჯანი. ამ ტალღას მოჰყვა აზერბაიჯანში დაპატიმრებები და საქართველოდან ჟურნალისტის გატაცებაც კი. „განახლებული“ რეპრესიების შემდეგ, „სასამართლოებმა სულ მცირე 25 ჟურნალისტისა და პოლიტიკური და ახალგაზრდა აქტივისტის საქმე განიხილეს და გრძელვადიანი პატიმრობები მიუსაჯეს პოლიტიკურად მოტივირებული არასამართლიანი სასამართლოს პირობებში. სისხლის სამართლის საქმეებზე მიმდინარე გამოძიებების ფარგლებში კვლავ რჩება ათობით აქტივისტი, რომლებსაც ემუქრებათ ზენოლა, ეკრძალებათ ქვეყნის დატოვება ან უკვე მოახერხეს ქვეყნიდან გაქცევა.“<sup>2</sup> 2017 წლის 7 მარტს, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს სხდომაზე, „აზერბაიჯანელმა უფლებამდაცველებმა წარმოადგინეს ანგარიში ქვეყანაში არსებული საგანგაშო მდგომარეობის და საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან რეაგირების აუცილებლობის შესახებ.“<sup>3</sup>

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ფაქტებს თბილისში აფგანის გაუჩინარების და სავარაუდოდ გატაცების შესახებ, და ახდენს საქართველოს საგამოძიებო უწყებების მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის გამოძიების ანალიზს, ასევე აზერბაიჯანის სასამართლოში მიმდინარე სასამართლო პროცესების და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში სამართალწარმოების შეფასებას. ანგარიშის მთავარი მიგნებები ეხება საქართველოში მიმდინარე გამოძიების არაეფექტურობას, კერძოდ საგამოძიებო უწყებების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის პრობლემას; საქმის შესახებ მნიშვნელოვანი მტკიცებულებების შეგროვების პრობლემას; სისხლის სამართლის საქმეში მუხთარლის სტატუსის პრობლემას და ასევე, უკანონო თვალთვალსა და დევნას.

საქართველოში აზერბაიჯანელი ჟურნალისტის სავარაუდოდ გატაცების ფაქტზე მიმდინარე სისხლის სამართლის გამოძიება დღემდე გრძელდება. საქართველოს პარლამენტმა არ დააკ-

1. აზერბაიჯანში აფგან მუხთარლის საქმის განხილვას აკვირდებოდა თბილისის ადამიანის უფლებათ სახლის წარმომადგენელი, ნეერი ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ ადვოკატი.  
2. იხილეთ Human Rights Watch-ის 2018 წლის ანგარიში. [https://www.hrw.org/sites/default/files/world\\_report\\_download/201801world\\_report\\_web.pdf](https://www.hrw.org/sites/default/files/world_report_download/201801world_report_web.pdf)  
3. იხილეთ <http://humanrightshouse.org/Articles/22297.html>

მაყოფილა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მოთხოვნა, შეექმნათ დროებითი საგამოძიებო კომისია აფგან მუხთარლის გატაცების საქმის გამოსაძიებლად.<sup>4</sup>

ქვემოთ წარმოდგენილი დოკუმენტი მოიცავს ფაქტებს და მოვლენებს, რომელთა იდენტიფიცირება მოახდინა HRH-თბილისმა და მისმა წევრმა ორგანიზაციამ „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ აფგან მუხთარლის საქმეზე მუშაობის დროს.

## აფგან მუხთარლის შესახებ



აფგან მუხთარლი

აზერბაიჯანელი ჟურნალისტი და აქტივისტი აფგან მუხთარლი 1999 წლიდან აზერბაიჯანში ეწეოდა აქტიურ ჟურნალისტურ საქმიანობას. ის წერდა რამდენიმე დამოუკიდებელი მედია ორგანიზაციისთვის, როგორცაა „მეიდან TV“ და „ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი“ (IWPR). მისი საგამოძიებო პუბლიკაციები ძირითადად ეხებოდა აზერბაიჯანის ხელისუფლებაში არსებულ კორუფციას და ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს. 2014 წელს ის თავის გამოქვეყნებულ სტატიებში შეეხო აზერბაიჯანის სამხედრო სფეროში არსებულ კორუფციას.<sup>5</sup> აზერბაიჯანში საგამოძიებო ჟურნალისტიკასთან დაკავშირებული გამონწევების მიუხედავად, ქვეყანაში სადაც პრესის თავისუფლება მუდმივად ირღვეოდა და ხელისუფლება სისტემატიურად სჯიდა დამოუკიდებელ აზრს,<sup>6</sup> რაც სხვასთან ერთად გულისხმობს ფიზიკური არსებობის და პირადი უსაფრთხოების წინააღმდეგ მუქარას, აფგანი აგრძელებდა თავის ჟურნალისტურ და სამოქალაქო აქტივობას. პროფესიული საქმიანობის გამო ის არაერთხელ გახდა აზერბაიჯანის ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან უკანონო დაკავების, მუქარისა თუ ფიზიკური შეურაცხყოფის მსხვერპლი.<sup>7</sup> აფგანთან ერთად რისკის ქვეშ იყო მისი მეუღლე, ლეილა მუსტაფაევა<sup>8</sup> (დამოუკიდებელი ჟურნალისტი). ზენოლის შედეგად აფგანი და ლეილა იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ აზერბაიჯანი, ისინი ჩამოვიდნენ საქართველოში 2015 წლის იანვარში.<sup>9</sup>

4. სამოქალაქო და მედია ორგანიზაციები მიმართავენ საქართველოს პარლამენტსა და მთავარ პროკურატურას აფგან მუხთარლის საქმესთან დაკავშირებით 19.02.2018. <https://article42.ge/ka/siakhleebi/article/46863-afgan-mukhtarlis-gatacebis-saqmeze-sazogadoebrivi-organizaciebi-da-media-saqarthvelos-parlamentsa-da-mthavar-prokurors-mimarthaven>

5. იხილეთ აფგან მუხთარლის სტატიები:  
<https://www.meydan.tv/en/site/politics/3402/>  
<https://www.meydan.tv/en/site/politics/3403/>  
<https://www.meydan.tv/en/site/politics/3583/>  
<https://www.meydan.tv/en/site/politics/3584/>  
<https://www.meydan.tv/en/site/politics/3626/>  
<https://www.meydan.tv/en/site/society/23404/>

6. იხილეთ Freedom House ის ანგარიში „პრესის თავისუფლება 2017“; ქვეყნის ანგარიში, აზერბაიჯანი: <https://freedomhouse.org/report/freedom-press/2017/azerbaijan>

7. ინფორმაცია ეფუძნება აფგან მუხთარლის ინტერვიუს თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის წარმომადგენელთა როცა ის საქართველოში ჩამოვიდა 2015 წლის იანვარში.

8. ლეილა მუსტაფაევა არის დამოუკიდებელი ჟურნალისტი და მუშაობდა საგამოძიებო ჟურნალისტად შემდეგი მედია ორგანიზაციებისთვის: „Yeni Musavat“ IWPR და მეიდან TV.

9. აფგან მუხთარლი და მისი მეუღლე, ლეილა მუსტაფაევა, იყვნენ თბილისის სახლის მხარდამჭერი პროგრამის ბენეფიციარები, რომელიც ეხმარება აზერბაიჯანელ უფლებდამცველებს, აქტივისტებს და ჟურნალისტებს, რომლებიც დევნილობაში არიან საქართველოში.

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ აფგანი აგრძელებდა ჟურნალისტურ საქმიანობას და აქვეყნებდა სტატიებს აზერბაიჯანის პრეზიდენტის, ილჰამ ალიევისა და მისი ოჯახის მფლობელობაში არსებული ბიზნეს-კომპანიების შესახებ.<sup>10</sup>

## აფგანის ბაჰრინარება თბილისში



პრეს-კონფერენცია HRH-თბილისში აფგან მუხთარლის თბილისიდან ბაჰრინარების თაობაზე. 30 მაისი, 2017. @Copyright HRHT.

ლეილა მუსტაფაევას განცხადებით, 2017 წლის 29 მაისს, დაახლოებით 17:00 საათზე, აფგანი გავიდა სახლიდან და მეუღლეს უთხრა, რომ თბილისში ერთ-ერთ კაფეში მეგობრებთან შესახვედრად მიდიოდა. აფგანი შეხვდა მეგობარს, დაშვინ ალაღარლის<sup>11</sup> თბილისში, ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარე კაფეში. დაახლოებით საღამოს 19:00 საათზე აფგანმა დაურეკა მეუღლეს, ლეილას, აცნობა, რომ სახლში ბრუნდებოდა და კითხა, რამე პროდუქტის შეძენა ხომ არ სჭირდებოდა. აფგანმა ლეილას უთხრა, რომ მეგობრის ტელეფონიდან ურეკავდა, ვინაიდან მის ტელეფონს ელემენტი უჯდებოდა. მიუხედავად ამისა, აფგანი სახლში არ დაბრუნებულა. მეორე დღით, ლეილამ აღმოაჩინა, რომ აფგანი სახლში არ მოსულა. დაურეკა მეგობარს,

დაშვინ ალაღარლის, რომელმაც უთხრა, რომ 19:00 საათის მერე, როცა ბარათაშვილის ქუჩაზე დაშორდნენ ერთმანეთს, აფგანი აღარ უნახავს.<sup>12</sup> ლეილა წავიდა პოლიციაში და განაცხადა აფგანის გაუჩინარების შესახებ; მას პოლიციაში ახლდნენ HRH-თბილისის წარმომადგენლები და მისი წევრი ორგანიზაციის „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ ადვოკატი (დეტალებს იხილავთ საქართველოში მიმდინარე გამოძიების თავში). იმავე დღეს, ლეილას თანხმობით თბილისის ადამიანის უფლებათა სახლმა გამართა პრეს-კონფერენცია<sup>13</sup> თბილისში აზერბაიჯანელი ჟურნალისტის გაუჩინარების ფაქტთან დაკავშირებით.

2017 წლის 30 მაისის საღამოს აფგან მუხთარლი დაკავებული აღმოჩნდა ბაქოში.

## აფგანის საპარაუდო ბათახების დეტალები

აფგან მუხთარლის განცხადებით,<sup>14</sup> 2017 წლის 29 მაისის საღამოს, დაახლოებით 17:40 საათზე, ბარათაშვილის ხიდთან ჩაჯდა ნომერ 4 სამარშრუტო ტაქსიში და თავისი სახლის მიმართულებით, ნიაღვრის ქუჩისკენ გაემგზავრა.<sup>15</sup>

10. იხილეთ <https://www.meydan.tv/en/site/politics/8759/>

11. იმ დროს საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანიდან დევნილი პოლიტიკური აქტივისტი, აზერბაიჯანელი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის „მუსავათის“ წევრი, აფგანის მეგობარი.

12. ინფორმაცია ეფუძნება ლეილა მუსტაფაევასთან 2017 წლის 30 მაისის ინტერვიუს, და დაშვინ ალაღარლთან 2017 წლის 30 მაისის ინტერვიუს.

13. იხილეთ [https://www.facebook.com/pg/humanrightshouse.tbilisi/photos/?tab=album&album\\_id=1559159897441086](https://www.facebook.com/pg/humanrightshouse.tbilisi/photos/?tab=album&album_id=1559159897441086)

14. აზერბაიჯანის საგამოძიებო უწყებაში აფგან მუხთარლის მიცემული ჩვენება, 2017 წლის 31 მაისი.

15. აფგანის სამარშრუტო ტაქსი ჩაჯდომა მოგვიანებით სათვალთვალო კამერებიდან ამოღებულ ვიდეოებშიც დაფიქსირდა.



როგორც აფგანი იხსენებს<sup>16</sup>, ის ოთხმა პიროვნებამ (ერთი მძლოლი იყო) თბილისში, სახლთან ახლოს, ნიაღვრის ქუჩა #4-სთან გაიტაცა და ძალის გამოყენებით ჩასვა მანქანაში. აფგანის თქმით, გამტაცებლებს საქართველოს კრიმინალური პოლიციის ფორმები ეცვათ. მოგვიანებით, მანქანა გაჩერდა ნიაღვრის ქუჩასთან ახლოს. აფგანს გამტაცებლებმა ხელბორკილები დაადეს და სცემეს; შესაბამისად, მას დაზიანებები ჰქონდა სხეულზე. მუხთარლის ჩვენებით, მას დაზიანებები ჰქონდა ხელებზე, მარცხენა საფეთქელთან, შუბლზე, ცხვირზე და მარჯვენა თვალზე. მას ტკივილი აწუხებდა გულმკერდის არეში.<sup>17</sup> აფგანი ძალის გამოყენებით კვლავ ჩასვეს მანქანაში და განაგრძეს გზა თბილისის აეროპორტისკენ (აფგანის ვარაუდით): გაიარეს თავისუფლების მოედანი, ავლაბრის მეტროს სადგური, და კახეთის გზატკეცილი. ამის შემდეგ, აფგანს თავზე დააფარეს ტომარა და ის ველარ ხედავდა, სად მიდიოდა. მანქანაში გამტაცებლები საუბრობდნენ ქართულად. გამტაცებლებს თავი აფგანისთვის არ წარუდგენიათ და არც არაფერი აუხსნიათ. მოგვიანებით, ვინაიდან აფგანმა დაიჩვილა, რომ ვერ სუნთქავდა (რუსულად ესაუბრებოდა მათ), გამტაცებლებმა ტომარა მოხადეს და თავზე სხვა ნივთი ჩამოაფარეს. როდესაც მანქანა გაჩერდა, აფგანის აზრით, ისინი იყვნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში (კახეთის რეგიონი, აღმოსავლეთ საქართველო), იმ დროის გათვალისწინებით, რაც მანქანით მგზავრობაში დახარჯეს. მანქანა შეცვლილი იყო. აფგანს მიაჩნია, რომ იგივე გამტაცებლები იყვნენ და მხოლოდ მანქანა იყო შეცვლილი. შემდეგ, მანქანა ისევ გაჩერდა და აფგანი სხვა ადამიანს გადასცეს სხვა მანქანაში, სადაც გამტაცებლები აზერბაიჯანულად საუბრობდნენ. მოგვიანებით, აფგანი მიიყვანეს შენობაში - როგორც მოგვიანებით უთხრეს - სასაზღვრო სამსახურის შენობაში. აფგანის თქმით (ის უკვე ხედავდა ყველაფერს, რადგან მოხადეს, რაც თავზე ეფარა), ეს იყო სამხედრო ბაზა/შენობა. მან დაინახა ფორმიანი თანამშრომლები. ერთ-ერთმა გამტაცებელმა ბოლო მანქანიდან აფგანს განუცხადა, რომ მან უკანონოდ გადაკვეთა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი. გაჩხრიკეს და აღმოუჩინეს 10 000 ევრო. აფგანი ამტკიცებს, რომ აღნიშნული თანხა მას გამტაცებლებმა ჩაუდეს. მისი თქმით, დაახლოებით დღის 5 საათზე, 30 მაისს, ის წაიყვანეს ახლოს მდებარე მდინარესთან, რომელიც მისი რწმენით ბელაქანის რაიონში იყო, სადაც სავარაუდოდ მესაზღვრეებმა მას გადაუღეს ფოტოები. შემდეგ, დაახლოებით დღის 12 საათზე ის წაიყვანეს ბაქოში სასაზღვრო სამსახურის მთავარ ოფისში. 30 მაისს დაახლოებით 21:00 საათზე მუხთარლი გადაიყვანეს ხატაის პოლიციის განყოფილებაში.

31 მაისს, აფგან მუხთარლის ბრალი წარუდგინეს საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის უკანონო გადაკვეთის, კონტრაბანდისა და საზღვრის თანამშრომლებისათვის წინააღმდეგობის განწევის მუხლებით. იმავე დღეს, ბაქოს საქალაქო საბაილის რაიონულმა სასამართლომ მუხთარლის მიუსაჯა 3 თვიანი წინასწარი პატიმრობა, რომელიც გასაჩივრდა ბაქოს სააპელაციო სასამართლოში, მაგრამ ამ უკანასკნელმაც პატიმრობაში დატოვა აფგანი.

## საქართველოში აფგანის ბაუჩინარებაზე დაწყებული მიმდინარე ბამოძიება

აფგან მუხთარლის გაუჩინარების შემდეგ, მისი ცოლის ლეილა მუსტაფაევის განცხადებით, მან და დაშვინ ალაღარლიმ 2017 წლის 30 მაისს განცხადება შეიტანეს ძველი თბილისის პოლიციის განყოფილებაში და სისხლის სამართლის გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომელიც ეხება თავისუფლების უკანონო აღკვეთას.<sup>18</sup>

16. აზერბაიჯანის საგამოძიებო უწყებაში აფგან მუხთარლის მიცემული ჩვენება, 2017 წლის 31 მაისი

17. იგივე.

18. HRH თბილისი და მისი წევრი ორგანიზაცია კონსტიტუციის 42-ე მუხლი მუშაობენ აფგან მუხთარლის საქმეზე საქართველოში და მის ინტერესებს იცავან ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.



საპროტესტო აქცია აფგან მუხთარლის მხარდასაჭერად. 30 მაისი, 2017. @Copyright HRHT.

2017 წლის 30 მაისს მუხთარლის გაუჩინარების ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე კვლავ მიმდინარეობს გამოძიება. სისხლის სამართლის საქმის გამოძიება არაეფექტიანად მიმდინარეობს მასში არსებული მასალების და გამოძიებაში არარსებული პროგრესის გამო. არის რამდენიმე მიმართულება, სადაც ჩანს საგამოძიებო უწყებების მუშაობის ხარვეზები და ჩავარდნები, რაც გამოძიებას ხდის არაეფექტურს და მიკერძოებულს. კერძოდ:

- **გამოძიება დაიწყო იმ უწყებამ, რომელსაც არ შეეძლო სისხლის სამართლის გამოძიების დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა**



საპროტესტო აქცია აფგანის მხარდასაჭერად. 30 მაისი, 2017. @Copyright HRHT.

აფგან მუხთარლი და მისი ცოლი თავიდანვე აცხადებდნენ, რომ აფგანი საგარეუდოდ ქართული პოლიციის ფორმაში ჩაცმულმა ადამიანებმა გაიტაცეს, რომლებიც ქართულად საუბრობდნენ.<sup>19</sup> 2017 წლის 9 ივნისს, აზერბაიჯანის პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავჯდომარის მოადგილე ელმან ნასიროვის რადიო თავისუფლებისთვის მიცემულმა ინტერვიუმ კიდევ უფრო გაამყარა ეს ეჭვები; მან განაცხადა, რომ აფგან მუხთარლის დაკავება აზერბაიჯანულ-ქართული სპეცსამსახურების ერთობლივი მუშაობის შედეგია (მოგვიანებით მან უარყო აღნიშნული

განცხადება).<sup>20</sup>

19. აზერბაიჯანის საგამოძიებო უწყებაში აფგან მუხთარლის მიცემული ჩვენება, 2017 წლის 31 მაისი.

20. იხილეთ: <http://netgazeti.ge/news/200204/>

ამ ინფორმაციის უგულვებელყოფით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომლის თანამშრომლებიც სავარაუდოდ ჩართული იყვნენ ამ დანაშაულში, დაიწყეს სისხლის სამართლის გამოძიება მუხთარლის სავარაუდო გატაცების ფაქტზე. დაზარალებულის ადვოკატის მხრიდან სავარაუდო ინტერესთა კონფლიქტის და გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის საფრთხის შესახებ წარდგენილი შუამდგომლობის მიუხედავად<sup>21</sup>, პირველადი და ყველაზე მნიშვნელოვანი საგამოძიებო ღონისძიებები ჩაატარა შსს-ს საგამოძიებო უწყებამ. მხოლოდ 2017 წლის 20 ივლისს, აფგანის სავარაუდო გატაცებიდან თითქმის 2 თვის შემდეგ, საქართველოს პროკურატურამ განაცხადა რომ ისინი გააგრძლებენ გამოძიებას.<sup>22</sup>

**• საქმეში მნიშვნელოვანი მძიქსებულები ვერ შეგროვდა**

სხვადასხვა მიზეზის გამო, გამოძიებამ ვერ მოახერხა ობიექტური მტკიცებულებების შეგროვება საქმის გარშემო, როგორცაა ვიდეო-ჩანაწერები თბილისში ნიაღვრის ქუჩიდან საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრამდე ლაგოდეხში გზაზე არსებული კამერებიდან, ვინაიდან აფგანი სწორედ ამ გზაზე უთითებს გატაცების შესახებ მიცემულ ჩვენებაში.<sup>23</sup> ჩანაწერები არ იქნა ამოღებული არც შსს-ს კამერებიდან და არც კერძო კომპანიების კამერებიდან. მონმის სტატუსით დაკითხული შსს-ს ერთიანი ოპერატიული ცენტრის თანამშრომლების განცხადებით, გატაცების დროს შსს-ს ათეულობით კამერა გამოსული იყო მწყობრიდან მითითებულ პერიმეტრზე, სადაც სავარაუდოდ გამტაცებლები გადაადგილდებოდნენ. მხოლოდ პირდაპირი მონიტორინგის კამერები მუშაობდა. გამოძიებელს არ უკითხავს მონმისთვის, რატომ არ მუშაობდნენ კამერები.

საქმეში არსებული მასალებით, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის ოფიცრებმა განაცხადეს რომ საკვლევ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე არ ფიქსირდებოდა რაიმე ინციდენტი. საქმის მასალები მოიცავდა 2017 წლის 16 ივნისის ცნობას, რომლის თანახმად სასაზღვრო სამსახურის მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟებული კამერები არ მუშაობდა, თუმცა მოგვიანებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა წარმოადგინა აღნიშნული კამერებიდან ამოღებული ვიდეო ჩანაწერები, მაგრამ არცერთი მათგანი არ შეიცავდა გამოძიებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას.

გამოძიებამ დაკითხა 200-მდე ადამიანი, უმეტეს მათგანს არანაირი შეხება არ ჰქონდა ჩადენილ დანაშაულთან; მათ ვერ დაადგინეს ის საეჭვო პირი, რომელიც დაფიქსირდა ბარათაშვილის ქუჩის ავტობუსის გაჩერებასთან დამონტაჟებული კამერის მიერ, თბილისში. აღნიშნული პირი უყურებდა აფგანს, როცა ის ჩაჯდა #4 სამარშუტო ტაქსიში ბარათაშვილის ხიდთან. ეს არის ბოლო მომენტი, როდესაც მუხთარლი თბილისში ნახეს. აფგანის ადვოკატმა რამდენჯერმე მოითხოვა, დაედგინათ აღნიშნული პირის ვინაობა, მაგრამ ამ მიმართულებით არაფერი გაკეთებულა. ამას გარდა, მოგვიანებით, იგივე ვიდეო ფაილი დაზიანდა და შეუძლებელი გახდა მისი გახსნა. ამჯერად ვიდეოფაილი ექსპერტიზაზეა, რომ დადგინდეს დაზიანების მიზეზი.

გამოძიებას ჯერ კიდევ არ დაუდგენია, რა მანქანით გაიტაცეს აფგან მუხთარლი, (მიუხედავად იმისა, რომ მან ოპელის მარკის ავტომანქანის შესახებ მიუთითა თავის

21. ადვოკატის 2017 წლის 19 ივნისის შუამდგომლობა  
 22. საქართველოს პროკურატურის განცხადება, [http://pog.gov.ge/geo/news?info\\_id=1295](http://pog.gov.ge/geo/news?info_id=1295), 20.07.2017 (ბოლო ნახვა 03.05.2018)  
 23. გამოძიების დაწყებიდან აფგანის ადვოკატმა რამდენჯერმე მიმართა საქართველოს ხელისუფლებას თხოვნით ამოეღოთ თბილისი-ლაგოდეხის პერიმეტრზე არსებული კამერების ჩანაწერები; შუამდგომლებზე დათარიღებულია 2017 წლის 1, 13, 19 და 29 ივნისით.



ჩვენებაში) და ვერ მოხერხდა იმ მარშუტის აღდგენა, რაც მანქანამ გაიარა საზღვრის გავლით.

ის, რომ შსს-მ ვერ შეაგროვა მნიშვნელოვანი და პირდაპირი მტკიცებულებები, აძლიერებს ეჭვს გამოძიების ობიექტურობის და ეფექტიანობის შესახებ.

**• აფგან მუხთარლის და ლეილა მუსტაფაევას სბაძუსი სისხლის სამართლის საქმეში**

როგორც ზემოთ იყო ნახსენები, 2017 წლის 30 მაისს, სისხლის სამართლის გამოძიება დაიწყო სსკ-ის 143-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომელიც გულისხმობს თავისუფლების უკანონო აღკვეთას. თუმცა, აფგან მუხთარლისა და ლეილა მუსტაფაევას განცხადებით, თავისუფლების აღკვეთა დამამძიმებელ გარემოებაში მოხდა - ორგანიზებული ჯგუფის მიერ. ასევე, უკანონოდ დაკავებული ადამიანი გადაიყვანეს საზღვარზე, რაც დასჯადია სსკ-ის 143-ე მუხლით; საქმეში არსებული ფაქტებით ასევე დგინდება სსკ-ს 154-ე მუხლით გათვალისწინებული სავარაუდო დანაშაული - ჟურნალისტის საქმიანობაში უკანონო ხელშეშლა, იმის გათვალისწინებით, რომ მუხთარლის და მის ცოლს აზერბაიჯანის ხელისუფლება მათი ჟურნალისტური საქმიანობისთვის დევნიდა.

სხვადასხვა საგამოძიებო უწყებებში, ადვოკატის მიერ შეტანილი შუამდგომლობების მიუხედავად გადაეკვალიფიცირებინათ საქმე, დღემდე გამოძიება მიდის მხოლოდ სსკ 143-ე მუხლის პირველი ნაწილით - თავისუფლების უკანონო აღკვეთა.<sup>24</sup>

სისხლის სამართლის საქმის კვალიფიკაცია გავლენას ახდენს დაზარალებულის უფლებებზე. არც აფგან მუხთარლის და არც მის მეუღლეს არ აქვთ დაზარალებულის სტატუსი აღნიშნული საქმეში. ადვოკატის შუამდგომლები,<sup>25</sup> რომ მათთვის დაზარალებულის სტატუსი მიენიჭებინათ, რეაგირების გარეშე დატოვა პოლიციამ და პროკურატურამ. მათი უმოქმედობა გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოში<sup>26</sup>, რომლითაც ადვოკატმა მუხთარლისთვის და მუსტაფაევასთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება მოითხოვა, ვინაიდან მძიმე დანაშაულებია ჩადენილი მათ მიმართ. მიუხედავად ამისა, სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან გამომდინარე და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ გამოძიება სსკ 143-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს (რაც წარმოადგენს მსუბუქ დანაშაულს), თბილისის საქალაქო სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო სარჩელი იმ მოტივით, რომ არ ჰქონდა აღნიშნული საჩივრის განხილვის უფლებამოსილება.<sup>27</sup>

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება იყო პირველი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც თბილისში ლეილა მუსტაფაევამ და მისმა ადვოკატმა მიიღეს 2017 წლის 30 მაისს დაწყებული გამოძიების მომენტიდან.

24. ადვოკატის შუამდგომლობები, დათარიღებული 2017 წლის 7, 19 და 29 ივნისით.  
 25. ადვოკატის შუამდგომლები დათარიღებული 2017 წლის 7 და 9 ივნისით.  
 26. 2017 წლის 13 ივნისის სარჩელი.  
 27. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის თანახმად საგამოძიებო უწყებების უარი მიანიჭონ დაზარალებულის სტატუსი პირს სისხლის სამართლის საქმეში შესაძლოა გასაჩივრდეს ზემდგომ პროკურორთან და მოგვიანებით საერთო სასამართლოში მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში.

## საპარაუდო უკანონო თვალთვალი და დევნა

აზერბაიჯანელი ჟურნალისტის ცოლისა და მეგობრების ჩვენებით, აფგან მუხთარლი გატაცებამდე თვალთვალის ობიექტი იყო. გატაცებიდან რამდენიმე დღით ადრე, 2017 წლის 16 მაისს, აფგანმა თავის მეგობარს ფეისბუქზე მიწერა, რომ მას უთვალთვალდნენ. 2017 წლის 14 ივლისს, მუსტაფაევამ პოლიციას წარუდგინა სამი პიროვნების ფოტო, რომლებიც სავარაუდოდ მის ქმარს გატაცებამდე უთვალთვალდნენ. ამ ფოტოებთან დაკავშირებით ლეილა მუსტაფაევა და დაშვინ ალაღარლი პოლიციამ 2017 წლის 16 ივლისს დაკითხა, მაგრამ ამას შედეგი არ მოყოლია.

აფგანის ცოლიც და მეგობრებიც საუბრობდნენ თვალთვალზე. მათ სჯერათ, რომ ჟურნალისტური და ოპოზიციური საქმიანობის გამო სდევნიან, რადგან მათი საქმიანობა აზერბაიჯანის ხელისუფლებას აღიზიანებს და ეს არის მუხთარლის გატაცების მიზეზიც. 2017 წლის 31 მაისს დაშვინ ალაღარლიმ პოლიციასთან გასაუბრებისას განაცხადა, რომ მასაც უთვალთვალდნენ და შეეძლო ამოეცნო კონკრეტული პირები, რომლებიც უთვალთვალდნენ.

ლეილა მუსტაფაევამაც განაცხადა რამდენიმე შემთხვევის შესახებ. აფგანის გატაცების შემდეგ თბილისში მას დაუდგენელი პირები სავარაუდოდ უთვალთვალდნენ. ლეილას თქმით, გერთ-ერთი ინციდენტი აზერბაიჯანული ოპოზიციური პარტიის მუსაგათის ლიდერთან შეხვედრის დროს მოხდა. მან აღნიშნულის შესახებ პოლიციას 2017 წლის 29 ივნისს აცნობა, მაგრამ ამაზე რეაგირება ვერაც არ მომხდარა.

მუსტაფაევას განცხადებით, კიდევ ერთი საეჭვო ინციდენტი მოხდა 2017 წლის 29 ივლისს თბილისში მდებარე კაფეში. ის აპირებდა კაფედან გასვლას, როდესაც შეამჩნია უპატრონოდ დადებული ჩანთა სკამთან ახლოს. როდესაც იკითხა, ვის ეკუთვნოდა აღნიშნული ჩანთა, საშუალო ასაკის მამაკაცი მივარდა მას, გამოსტაცა ჩანთა და გავარდა კაფედან. ლეილა მუსტაფაევა და დაშვინ ალაღარლი გაყვნი უცნობს, რომ გაერკვიათ მისი ასეთი ქცევის მიზეზი, მაგრამ მას ორი პიროვნება ელოდა ქუჩაში და ყველამ ერთად სასწრაფოდ დატოვა ტერიტორია. ლეილა მუსტაფაევამ და დაშვინ ალაღარლიმ აღნიშნულის შესახებ პოლიციას აცნობეს. მოგვიანებით, პროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, თვალთვალის ფაქტი არ დადგინდა.

მუსტაფაევამ და ალაღარლიმ პოლიციას ასევე იმ ოთხი ადამიანის შესახებ აცნობეს, რომლებიც მათ 2017 წლის 4 აგვისტოს უთვალთვალდნენ, როდესაც აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა მინისტრი ეწვია საქართველოს. მათ მოახერხეს ამ ადამიანების ვიდეოზე გადაღება და 2017 წლის 7 აგვისტოს საქართველოს პროკურატურას აღნიშნული ვიდეო და ფოტო მასალა წარუდგინეს. როგორც წინა შემთხვევების დროს, გამოძიებამ წარდგენილი მასალა არ ჩათვალა ღირებულად და შეტყობინებას შედეგი არ მოყოლია.

მიუხედავად იმისა, რომ მუსტაფაევას მიერ ნახსენები ფაქტები შეიცავდნენ სსკ-ს 151 პრიმა მუხლის (ადევნება) და 154-ე მუხლის (ჟურნალისტის საქმიანობაში უკანონო ჩარევა) ნიშნებს, ასევე სსკ 158-ე მუხლის (პირადი კომუნიკაციის უფლება) დარღვევას, გამოძიებამ აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით არაფერი მოიმოქმედა და დღემდე შედეგი არ დამდგარა.

საქართველოს პროკურატურის უმოქმედების შემდეგ, 2017 წლის 19 სექტემბერს გამოქვეყნდა იმ პირების ფოტო და ვიდეო მასალა, რომლებიც უთვალთვალდნენ ლეილა მუსტაფაევას.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების ურთიერთგამომრიცხავი და არაადეკვატური განცხადებებისა და ქმედების (იხილეთ ქვემოთ, გვ. 10), არაეფექტიანი გა-

მოძიების, ხშირი თვალთვალის, რომელთა ადეკვატური გამოძიება არ ხდებოდა, ლეილა მუსტაფაევას და აზერბაიჯანიდან დევნილ სხვა პირებს ეშინოდათ, რომ ისინიც მუხთარ-ლივით გატაცების მსხვერპლი გახდებოდნენ.

ზემოთხსენებული გარემოებების გამო, 2017 წლის ოქტომბერში ლეილა მუსტაფაევამ თავშესაფრის მიღების თხოვნით მიმართა მესამე ქვეყანას თავის არასრულწლოვან ქალიშვილთან ნურაი მუხთარლისთან ერთად. 2018 წლის დასაწყისში კი დაშვინ ალაღარ-ლიმაც დატოვა საქართველო და თავშესაფარი ითხოვა სხვა ქვეყანაში.

## საქართველოს ხელისუფლების რეაქცია და საქმის გარემო საერთაშორისო გამოხმაურება

აფგან მუხთარლის საქმეზე საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები საქართველოს ხელისუფლების მიმართ იყო უკიდურესად კრიტიკული და მოუწოდებდნენ დროულ და ეფექტურ გამოძიებას. 2017 წლის 3 ივნისს, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოხატა შეშფოთება ფაქტის გამო და მოუწოდა საქართველოს უზრუნველყო საფუძვლიანი, გამჭვირვალე და დროული გამოძიება.<sup>28</sup> ევროპარლამენტმა 2017 წლის 15 ივნისს მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ხაზგასმულია გამჭვირვალე და ეფექტური გამოძიების აუცილებლობა.<sup>29</sup> 2018 წლის 12 იანვარს, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ კვლავ ყურადღებით აკვირდებიან საქართველოში სავარაუდო გატაცების საქმეზე მიმდინარე გამოძიებას და ძალაშია მოწოდება, მოხდეს საფუძვლიანი, გამჭვირვალე და დროული გამოძიება.<sup>30</sup> ყველა ეს განცხადება მიუთითებს, რომ მიუღებელია უპასუხოდ დარჩეს კითხვები და ეჭვები სავარაუდო გატაცების ფაქტზე. გამჭიანურებული გამოძიება სერიოზულად აზიანებს ადამიანის უფლებების მდგომარეობას საქართველოში და ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს.

სავარაუდო გატაცების მეორე დღეს, 2017 წლის 30 მაისს, საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ ადამიანის გაუჩინარება საქართველოში არის სერიოზული გამოწვევა ქვეყნისთვის და ხელისუფლებამ უნდა დაიცვას მისი რეპუტაცია და უზრუნველყოს მოქალაქეების უსაფრთხოება, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ითვლება რეგიონში ადამიანის უფლებების დაცვის და მედიის თავისუფლების კუთხით ლიდერ ქვეყნად.<sup>31</sup>

აფგან მუხთარლის სავარაუდო გატაცება საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებების მთავარ თემად იქცა, თუმცა ისინი გამორიცხავდნენ ქართული პოლიციის ან სხვა უწყების მონაწილეობას აღნიშნულ სავარაუდო დანაშაულებებში.

2017 წლის 1 ივნისს საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანიც გამოეხმაურა აფგან მუხთარლის სავარაუდო გატაცების ფაქტს და გამორიცხა ქართული სამართალდამცველების მონაწილეობა აღნიშნულ ინციდენტში. მან განაცხადა, რომ საქართველოში მიმდინარე გამოძიება შესაძლოა შეფერხდეს ვინაიდან აფგანი ბაქოშია და მხოლოდ მას აქვს გამოძიებისთვის საჭირო ინფორმაცია.<sup>32</sup>

28. იხილეთ: <https://www.state.gov/r/pa/prs/ps/2017/06/271551.htm>

29. იხილეთ: <http://www.europarl.europa.eu/oeil/popups/summary.do?id=1494406&t=d&l=en>

30. იხილეთ: <https://www.state.gov/r/pa/prs/ps/2018/01/277441.htm>

31. იხილეთ: <http://www.tabula.ge/ge/story/120636-prezidenti-muxtarize-adamianis-gaqroba-chvenisaxelmtsifoebriobistvis-gamotsvevaa>

32. იხილეთ: <http://www.tabula.ge/ge/story/120661-tsulukiani-muxtarize-gamoricxulia-chveni-samartaldamcavebismonatsileoba>

საქართველოს პარლამენტის თავჯდომარე ირაკლი კობახიძეც გამოეხმაურა სავარაუდო გატაცების ფაქტს 2017 წლის 1 ივნისს. მან ხაზი გასუვა, რომ პარლამენტი აქტიურად არის ჩართული პროცესში და კერძოდ, ისინი კავშირში იქნებიან აღმასრულებელ ხელისუფლებასთან. პარლამენტის სპიკერის განცხადებით, მას იმედი აქვს რომ პროცესი მალე დასრულდება და ყველა კითხვას პასუხი გაეცემა.<sup>33</sup>

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა 2017 წლის 3 ივნისს და განაცხადა რომ საქართველო არ უღალატებს მის მიღწევებს დემოკრატიის და კანონის უზენაესობის დაცვაში. მან განაცხადა რომ ხელისუფლება გააკეთებს ყველაფერს რომ სრულად დაიცვას ნებისმიერი ადამიანის უფლებები, მიუხედავად მისი მოქალაქეობისა და პოლიტიკური კუთვნილებისა. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გამოთქვა სრული მზადყოფნა, დაეხმაროს აფგან მუხთარლის მეუღლეს და შვილებს იურიდიული პროცედურების მოგვარებაში.<sup>34</sup> 2017 წლის 10 ივლისის საქართველოს შს მინისტრ გიორგი მღებრიშვილის განცხადება შემდეგი სათაურით გავრცელდა მედიაში: „ჩვენ ხელოვნურად ვერ დავდგავთ აფგან მუხთარლის გატაცების სცენას.“ მინისტრმა თქვა: „აზერბაიჯანელი ჟურნალისტის ადვოკატის მიერ მითითებული ყველა ვიდეო ამოღებულ იქნა. მის ადვოკატსაც გადაეცა, მაგრამ მას არ მოეწონა, რამდენადაც იქ არ ჩანს გატაცების მომენტი. ჩვენ ხელოვნურად ვერ დავდგამთ გატაცების სცენებს და მისთვის სასურველ სცენარს. ობიექტურად რა მოცემულობაც გვაქვს, იმას მივყვებით.“<sup>35</sup> 20 ივლისს შს მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ საზღვრის უსაფრთხოების სამსახურის და კონტრ-დაზვერვის სასამსახურის ხელმძღვანელები გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან აფგან მუხთარლის საქმესთან დაკავშირებით და რომ გამოძიება ვერ გამოორიცხავს ვერცერთ ვერსიას.<sup>36</sup> 2017 წლის 20 ივლისს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გაავრცელა განცხადება, რომ მუხთარლის საქმეზე სისხლის სამართლის გამოძიებას გააგრძელებდა საქართველოს პროკურატურა.<sup>37</sup> საქართველოს პრემიერ-მინისტრის თვითკრიტიკული განცხადებები<sup>38</sup> და შინაგან საქმეთა მინისტრის მხრიდან საზღვრის და კონტრდაზვერვის სამსახურების ხელმძღვანელების გათავისუფლება<sup>39</sup> ვერ შეფასდება ხელისუფლების მხრიდან საკმარის რეაგირებად.

ამას გარდა, 2017 წლის 18 ივნისს, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელმა ვახტანგ გომელაურმა პარლამენტს წარუდგინა უწყების საქმიანობის 2017 წლის ანგარიში. აფგან მუხთარლის საქმესთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ინციდენტი არ შევიდა ანგარიშში, რადგან სისხლის სამართლის გამოძიება კვლავ მიმდინარეობს, თუმცა არის სისხლის სამართლის საქმეები რომლებზეც გამოძიება 5 წელი გრძელდება და ისინიც, რომლებიც გამოუძიებელი რჩება; აქ არაფერია ახალი, ასეთი (გამოუძიებელი) საქმეები ყოველთვის არსებობდა.<sup>40</sup>

33. იხილეთ: <http://netgazeti.ge/news/198574/>

34. იხილეთ: <http://netgazeti.ge/news/198878/>

35. იხილეთ: <http://www.interpressnews.ge/ge/samartali/442270-giorgi-mghebrishvili-chven-khelovnurad-verdavgamth-afgan-mukhtarlis-gatacebis-scenebs.html?ar=A>

36. იხილეთ: <https://jam-news.net/?p=50104&lang=ka>

37. იხილეთ: [http://pog.gov.ge/geo/news?info\\_id=1295](http://pog.gov.ge/geo/news?info_id=1295)

38. იხილეთ: <https://1tv.ge/news/giorgi-kvirikashvili-afgan-mukhtarlis-shemtikhveva-seriozuli-chavardna-iyo/>

39. იხილეთ: <http://reginfo.ge/politics/item/1624-apgan-muxtarlis-saqmis-gamo-kontrdazvervis-da-sasazgvropoliziis-uprosebi-gaatavisuples>

40. იხილეთ: <https://1tv.ge/news/vakhtang-gomelauri-afgan-mukhtarlis-tema-sus-angarishshi-ar-mokhvda-radgan-gamodzieba-mimdinareobs/>



## აფგან მუხთარლის საქმეზე აზერბაიჯანში მიმდინარე სასამართლო განხილვები<sup>41</sup>

აზერბაიჯანში აფგან მუხთარლის ბრალი ედებათ აზერბაიჯანის სისხლის სამართლის კოდექსის 318-ე (სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა) და 206-ე (კონტრაბანდა) მუხლებით. 2017 წლის 1 ივნისს მას დამატებით ბრალი წარუდგინეს აზერბაიჯანის სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლით (პოლიციელისთვის წინააღმდეგობის განწევა).

აფგან მუხთარლის აზერბაიჯანელი ადვოკატები საუბრობდნენ აფგანის უფლებების დარღვევაზე წინასასამართლო პატიმრობისას. აფგანი აცხადებდა, რომ მას მერე, რაც ის აზერბაიჯანის ხელისუფლებას გადასცეს, 20 საათის განმავლობაში არ მისცეს უფლება დაკავშირებოდა ადვოკატს. მოგვიანებით, 2017 წლის 5 ივნისს წინასწარი პატიმრობის დროს ციხის ადმინისტრაციამ შეზღუდა მისი უფლება, ესარგებლა ადვოკატის სერვისით. მუხთარლი საუბრობდა დაკავების დროს ფიზიკური ძალადობის ფაქტზეც, რაც ხატაის პოლიციის განყოფილების ექიმმა მიზანმიმართულად არ ასახა ოქმში; ამას გარდა, ის აიძულეს ხელი მოეწერა დოკუმენტისთვის, სადაც ეწერა, რომ მას არ აქვს დაზიანებები. უფრო მეტიც, 2017 წლის 8 ივნისს, ადვოკატებმა შუამდგომლობით მიმართეს ციხის ადმინისტრაციას, რომ აფგანის ჯანმრთელობის მდგომარეობა გამოეკვლიათ და ალერგიკ-ხათ მისი ფიზიკური დაზიანებები, რაზეც უარი მიიღეს.<sup>42</sup> მხოლოდ ერთი თვის შემდეგ შეუშვეს ექიმი აფგანის სანახავად იზოლატორში, იმ დროისთვის ფიზიკური ძალადობის კვალი მას უკვე აღარ აღენიშნებოდა სხეულზე.



საპროტესტო აქცია აფგანის მხარდასაჭერად საქართველოში აზერბაიჯანის საელჩოსთან. 30 მარტი, 2017. @Copyright HRHT.



ლაილა მუსთაფაიევა, აზერბაიჯანის საელჩო საქართველოში, თბილისი. @Copyright HRHT.

აფგანმა და მისმა ადვოკატებმა მოსამართლის წინაშე დააყენეს შუამდგომლობები აფგანის პირად და პროფესიულ ცხოვრებაში უკანონო ჩარევის ფაქტების შესახებ, კერძოდ მისი ტელეფონიდან ამოღებული იყო სრული ინფორმაცია, მათ შორის მისი რესპონდენტების საკონტაქტო ინფორმაციები სასამართლო ნებართვის გარეშე. მიუხედავად ამისა, სასამართლომ არ გაითვალისწინა აღნიშნული შუამდგომლობა.

აფგანის ადვოკატების შუამდგომლებების მიუხედავად, წინასასამართლო პატიმრობა შეცვლილიყო სხვა აღმკვეთი ღონისძიებით, აზერბაიჯანის სასამართლომ აფგანს პატიმრობა შეუფარდა. აფგანმა 7 თვეზე მეტი გაატარა წინასწარ პატიმრობაში. ადვოკატე-

41. აფგან მუხთარლის საქმის განხილვებს ბაქოში აკვირდებოდნენ HRH-თბილისის წარმოდგენლები  
42. აფგან მუხთარლის აქვს II ტიპის დიაბეტი.

ბი ასაჩივრებდნენ მის ორდლიან უკანონო პატიმრობას 29 მაისს თბილისში გატაცების მომენტიდან ბაქოში 31 მაისს საბაილის რაიონულმა სასამართლოში მიყვანამდე, მაგრამ მათი მტკიცებულებები არ გაითვალისწინა მოსამართლემ, როდესაც განიხილავდა აფგანის დაკავების კანონიერებას.

აფგანმა და მისმა აზერბაიჯანელმა ადვოკატებმა ბელაქანის რაიონულ სასამართლოს განუცხადეს, რომ მუხთარლის მიმართ ნაყენებული სისხლის სამართლის ბრალდებები იყო ყალბი და ფაქტობრივად ის გაიტაცეს თბილისში და შემდეგ გადაიყვანეს აზერბაიჯანში, რათა მისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრებინათ ჟურნალისტური საქმიანობისა და აზერბაიჯანის ხელისუფლების კრიტიკის გამო; ამდენად, დაცვის მხარე ამტკიცებდა აფგანის უდანაშაულობას და ითხოვდა მის გამართლებას წარდგენილ ბრალში. მიუხედავად ამისა, 2018 წლის 12 იანვარს, ბელაქანის რაიონულმა სასამართლომ, დაცვის მხარის შუამდგომლობების უგულვებელყოფით, მუხთარლის 6-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. იგივე განაჩენი ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლომაც 2018 წლის აპრილში.

სასამართლო მონიტორინგის დროს თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის წარმომადგენლებმა დააფიქსირეს პროცედურული დარღვევები რომელთა საფუძველზეც შესაძლოა დაირღვა აფგანის უფლება სამართლიან სასამართლოზე, კერძოდ დარღვეული იყო თანასწორობის პრინციპი, შეზღუდული იყო სასამართლო განხილვის საჯაროობა და აფგანის უფლება, თავად შეერჩია მისი უფლებების დამცელი.

ბელაქანის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის მიერ ნაყენებული არცერთი შუამდგომლობა, მათ შორის არც დაცვის მხარის მოწმეების და სამედიცინო ექსპერტის დაკითხვის შესახებ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. სასამართლო ბრალდების ყველა შუამდგომლობას სრულად აკმაყოფილებდა, მაგრამ არ განუხილია საქართველოში მიმდინარე გამოძიების შესახებ დოკუმენტები (სავარაუდო გატაცების შესახებ) და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებები, რომლებიც დაცვის მხარის მიერ იყო წარდგენილი საქმის მასალებში.

ერთ-ერთი სასამართლო პროცესის დროს, პირველი ინსტანციის სასამართლომ მოსამართლემ ჟურნალისტები არ დაუშვა სასამართლო დარბაზში სხვადასხვა შეუსაბამო არგუმენტების საფუძველზე (დაცვის სამსახურმა მოსთხოვა მედიის წარმომადგენლებს დაეტოვებინათ კამერები გარეთ, და ა.შ.).

ამას გარდა, ბელაქანის რაიონულმა სასამართლომ განსახილველად არ მიიღო დაცვის მხარის შუამდგომლობა აფგანის სასამართლო პროცესების დროს არ მოეთავსებინათ რკინის გისოსების უკან და მიეცათ უფლება დამჯდარიყო ადვოკატების გვერდით.<sup>43</sup>

2018 წლის 23 აპრილს, აზერბაიჯანის გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის საჩივრის საფუძველზე, აზერბაიჯანის ადვოკატთა ასოციაციამ ადვოკატის ლიცენზია შეუჩერა აფგან მუხთარლის ადვოკატს ნემატ ქარიშლის ჟურნალისტის საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვამდე ერთი დღით ადრე.<sup>44</sup>

43. იხილეთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „რამიშვილი და კობრეიძე საქართველოს წინააღმდეგ“, no. 1704/06; 2009 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება.

44. საადვოკატო საქმიანობის შეჩერების მოთხოვნა, მთავარი პროკურორის მოადგილის განმარტებით ეფუძნებოდა იმ ფაქტს, რომ „აფგან მუხთარლის ადვოკატი მედიისთვის მიცემულ ინტერვიუებში ცდილობდა სისხლის სამართლის საქმის პოლიტიზირებას და შეცდომაში შეჰყავდა საზოგადოება, ასევე ცდილობდა ზეგავლენა მოეხდინა შესაძლო მოწმეებზე, რითაც დაარღვია კანონმდებლობა.“ აზერბაიჯანის ადვოკატთა ასოციაციამ ნემატ ქარიშლის წინააღმდეგ განიხილა მედიისთვის მიცემული ორი ინტერვიუ. პირველ ინტერვიუში ადვოკატი საუბრობს 2017 წლის 30 მაისს ჟურნალისტ აფგან მუხთარლის გატაცების შესახებ. ის განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა იმ ფაქტზე, რომ აზერბაიჯანში აფგანის სიცოცხლეს შეიძლება საფრთხე შექმნოდა და შესაბამისად, საქართველოს მთავრობას არ უნდა გადაეცა იგი აზერბაიჯანისთვის. მეორე ინტერვიუში ადვოკატი საუბრობდა საპატიმროში აფგანთან შეხვედრის დროს განხორციელებულ თვალთვალსა და მიყურადებაზე, რაც მან გააპროტესტა შემდეგი

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტი ადასტურებს, რომ აფგან მუხთარლის არ მიეცა შესაძლებლობა სრულყოფილად დაეცვა საკუთარი ინტერესები სასამართლოში; მისი უფლება სასამართლო პროცესის საჯაროობაზე და ასევე დაცვის უფლება, ვინაიდან მას არ მიეცა შესაძლებლობა ესარგებლა მის მიერ შერჩეული ადვოკატის დაცვით.

## სამართალწარმოება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში

2017 წლის 2 ივნისს, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 39-ე მუხლის საფუძველზე დროებითი ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაიგზავნა სარჩელი აფგან მუხთარლის სახელით.<sup>45</sup> აღნიშნული განაცხადით მუხთარლის ადვოკატი ითხოვდა ბაქოს საბაილის რაიონულმა სასამართლოს 2017 წლის 31 მაისის გადაწყვეტილების შეჩერებას, რომელიც ეხებოდა მუხთარლისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებას. ასევე, განცხადებაში ადვოკატი ითხოვდა აზერბაიჯანის მხარისაგან აფგანის პატიმრობიდან გათავისუფლების და მის დაბრუნებას თბილისში მცხოვრებ ოჯახის წევრებთან. ევროსასამართლოს შეუძლია, ადამიანის უფლებათა ეროვნული კონვენციის რეგლამენტის 39-ე მუხლის საფუძველზე გამოიყენოს დროებითი ღონისძიება კონვენციის წევრი ნებისმიერი ქვეყნის მიმართ. დროებითი ღონისძიება არის საგანგებო ღონისძიება, რომელსაც, პრაქტიკიდან გამომდინარე, სასამართლო იყენებს, როდესაც არსებობს ძალადობრივი დანაშაულის ჩადენის ან გამოუსწორებელი ზიანის მყისიერი რისკი განმცხადებლის მიმართ. მსგავსი ღონისძიების გამოყენება ხდება სასამართლოს არსებითი განხილვების წინ, რაც არ განსაზღვრავს საბოლოო გადაწყვეტილების შედეგს განაცხადის დასაშვებობასა თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით.<sup>46</sup>

2017 წლის 8 ივნისს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აზერბაიჯანის ხელისუფლებას გამოუგზავნა ხუთი კითხვა მუხთარლის საქმესთან დაკავშირებით. განმცხადებელს კი დაევა სასამართლოსთვის წარედგინა ძირითადი განაცხადი. 19 ივნისს აზერბაიჯანის სასამართლომ გაუგზავნა კითხვებზე პასუხები სასამართლოს, განმცხადებლის ადვოკატმა კი მის პასუხებს უპასუხა 26 ივნისს. 2017 წლის 8 ივლისს, ევროსასამართლომ არ დააკმაყოფილა დროებითი ღონისძიების მოთხოვნა, მაგრამ რეკომენდაცია მისცა მხარეებს, განმეორებით მიემართათ სასამართლოსთვის, თუ განმცხადებელს დამატებითი საფრთხეები დაემუქრებოდა. აზერბაიჯანის ხელისუფლებას კი დაეკისრა პასუხისმგებლობა უზრუნველყო განმცხადებლის უსაფრთხოება (აზერბაიჯანის ხელისუფლებას დაეკისრა ვალდებულება იზრუნოს დაკავებულისთვის „შესაფერისი სამედიცინო დახმარების“ უზრუნველყოფაზე).

2017 წლის ივნისში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაიგზავნა სრული განაცხადი აფგან მუხთარლისა და ლეილა მუსტაფაევას სახელით. განაცხადის მიხედვით, აფგან მუხთარლის მიმართ სავარაუდოდ დაირღვა კონვენციის 1-ლი (ადამიანის უფლებათა პატივისცემის ვალდებულება) მე-3 (წამების აკრძალვა), მე-5 (თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება), მე-6 (სამართლიანი სასამართლოს უფლება), მე-8 (პირადი

ფრაზით „ყველაზე ავტორიტარულ რეჟიმშიც კი არ ხდებოდა ასეთი აშკარა თვალთვალი და მიყურადება ადვოკატისა და მისი დაცვის ქვეშ მყოფის კომუნიკაციაზე“.

45. თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის წევრი ორგანიზაციის კონსტიტუციის 42-ე მუხლის წარმომადგენლები წარმოადგენენ აფგან მუხთარლის და მისი მეუღლის ლეილა მუსტაფაევას ინტერესებს ევროსასამართლოს წინაშე.

46. იხილეთ ინფორმაცია [https://www.echr.coe.int/Documents/FS\\_Interim\\_measures\\_ENG.pdf](https://www.echr.coe.int/Documents/FS_Interim_measures_ENG.pdf)

და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება), მე-10 (გამოხატვის თავისუფლება), მე-13 (სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალების უფლება), მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) და მე-18 (უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები) მუხლები, ასევე მე-4 (გადაადგილების უფლება), მე-7 (უცხოელთა გაძევებასთან დაკავშირებული პროცედურული გარანტიები) და მე-12 (დისკრიმინაციის საერთო აკრძალვა) დამატებითი ოქმებით გარანტირებული უფლებები. ხოლო, ლეილა მუსტაფაევას მიმართ დაირღვა კონვენციის მე-8 ((პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება), მე-10 (გამოხატვის თავისუფლება), მე-13 (სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალების უფლება), და მე-18 (უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები) მუხლებით გარანტირებული უფლებები. მოპასუხე მხარეებია საქართველოს და აზერბაიჯანის მთავრობები.

2017 წლის 30 აგვისტოს, ევროსასამართლომ აცნობა მოსარჩელის წარმომადგენელს, რომ განაცხადი<sup>47</sup> მიღებული იყო და მას მიენიჭა პრიორიტეტული სტატუსი.<sup>48</sup>

47. მუხთარლი და მუსტაფაევა აზერბაიჯანის და საქართველოს წინააღმდეგ, განაცხადი N. 39503/17.

48. ევროსასამართლო პრიორიტეტის სისტემას იყენებს იმ მიზნით, რომ დააჩქაროს ყველაზე მნიშვნელოვანი, სერიოზული და საჩქარო უფლებადარღვევის ფაქტების განხილვა, რომლებიც განიხილება 1 დან 2 წლის ვადაში.



## **საკონტაქტო ინფორმაცია:**

---

მისამართი: აკაკი გახოკიძის 11ა  
0179, თბილისი, საქართველო  
ტელეფონი: +995 32 2 38 20 18  
ელექტრონული ფოსტა: [Tbilisi@humanrightshouse.org](mailto:Tbilisi@humanrightshouse.org)  
ვებგვერდი: <http://humanrightshouse.org/Members/Georgia/index.html>